06 02 09	ვეტერანთა დახმარება	16.4	0.0	16.4	13.8	0.0	13.8	14.0	0.0	14.0
06 02 10	მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება	20.0	0.0	20.0	22.8	0.0	22.8	22.0	0.0	22.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	14.5	0.0	14.5	16.0	0.0	16.0	16.0	0.0	16.0
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	2.0	0.0	2.0
06 02 14	სარიტუალო დახმარება	31.5	0.0	31.5	35.5	0.0	35.5	15.0	0.0	15.0
06 02 15	სხვა სოციალური ღონისძიებები	59.1	0.0	59.1	97.5	0.0	97.5	13.0	0.0	13.0

**ა) პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა**

**პროგრამის კოდი: 06 01 01**

**პროგრამის დაფინანსება: 83,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის



მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს კუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამის მიზანია მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

**მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

**ბ) პროგრამის დასახელება:** ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია

**პროგრამის კოდი:** 06 01 02

**პროგრამის დაფინანსება:** 19,3 ათასი ლარი

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უდიდესი როლი ენიჭება პირველად ჯანდაცვას, ამბულატორიულ მომსახურებას. ამბულატორიული მომსახურების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ასიგნებებით, განაგრძობს ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. დასრულდება ზედავანის ამბულატორიის მოწყობის სამუშაოები.

**მოსალოდნელი შედეგი:** ამბულატორიების პერსონალისათვის სათანადო პირობების შექმნა, რეაბილიტირებული ამბულატორიების რაოდენობა.

**გ) პროგრამის დასახელება:** ახალშობილთა ოჯახების დახმარება

**პროგრამის კოდი:** 06 02 01

**პროგრამის დაფინანსება:** 80,0 ათასი ლარი

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 350 ლარის, მესამეზე 400, მეოთხეზე და ყოველ მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 ლარის ოდენობით. თუ ახალშობილის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 1 დან 70 000 მდე, მაშინ მისაღები ფინანსური დახმარების მოცულობა გაიზრდება 20%-ით.



მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**დ) პროგრამის დასახელება: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**

პროგრამის კოდი: 06 02 02

პროგრამის დაფინანსება: 25,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველწლიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 100 ლარს. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**ე) პროგრამის დასახელება: სამედიცინო დახმარება**

პროგრამის კოდი: 06 02 03

პროგრამის დაფინანსება: 310,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ა) დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 150000-ის ჩათვლით. ბ) ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც დაფინანსების მოთხოვნის მომენტში რეგისტრირებულნი არ არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ან მინიჭებული აქვთ 150000 - ზე მეტი სარეიტინგო ქულა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით ისარგებლებენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც აღწერილი იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დახმარების დასაბუთებული აუცილებლობა.

დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით.

პირველ კატეგორიაში შედიან ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები; მეორე კატეგორიაში შედიან: ა) გულის დაავადებათა მქონე პაციენტები; ბ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები; გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები

მესამე კატეგორიაში შედიან: ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 70000-ის ჩათვლით; ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 100000-ის ჩათვლით; გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები;

მეოთხე კატეგორიაში შედიან: ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70001-დან 150000-ის ჩათვლით; ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები; გ) 75 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები.

მეხუთე კატეგორიაში შედის დახმარების მიმღები ყველა სხვა მოქალაქე.

პირველ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს



წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიის ბენეფიციარებს უფლება აქვთ ლიმიტით განსაზღვრული თანხა გამოიყენონ ძირითადი დაავადების სამკურნალო მედიკამენტების შესაძენად, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტისა და ფარმაცევტული დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

მეორე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს, თუ ისინი გადიან მკურნალობის კურსს განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარისა.

მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება 8.3 ქვეპუნქტში არშემავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, მათ დამატებით შეუძლიათ ერთჯერადად ისარგებლონ დაფინანსებით, მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 700 (შვიდასი) ლარს.

მესამე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებზე არ ვრცელდება მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მათთვის ორსულობის, საკეისრო კვეთის ან ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარით, თუ მათ გადასახდელ თანხაში არ შედის ექიმის ან სამშობიარო სახლის არჩევით გამოწვეული ხარჯები.

მეოთხე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ

ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას.

თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10 %-ით, არაუმეტეს 2000 ლარისა.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**ვ) პროგრამის დასახელება:** დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება

**პროგრამის კოდი:** 06 02 04

**პროგრამის დაფინანსება:** 55,0 ათასი ლარი

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარების მგზავრობის ღირებულებისა და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად ყოველთვიური ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.



მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

ზ) პროგრამის დასახელება: შშმ პირთა დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 05

პროგრამის დაფინანსება: 77,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით. ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით და გ) 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიურად დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

თ) პროგრამის დასახელება: მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა

პროგრამის კოდი: 06 02 06

პროგრამის დაფინანსება: 44,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

ი) პროგრამის დასახელება: სტიქიით დაზარალებულთა დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 07

პროგრამის დაფინანსება: 36,2 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. დასრულდება სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის აღდგენის სამუშაოები ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახს, ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში, გადაეცემა საამშენებლო მასალები.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

კ) პროგრამის დასახელება: დღეგრძელდა დახმარება





**პროგრამის კოდი: 06 02 08**

**პროგრამის დაფინანსება: 8,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასი და მეტი წლის უხუცესთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, თითოეულ ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**ლ) პროგრამის დასახელება: ვეტერანთა დახმარება**

**პროგრამის კოდი: 06 02 09**

**პროგრამის დაფინანსება: 14,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ბ) საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. გ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე -500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. დ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ე) 1989 წლის 9 აპრილის დაზარალებულთათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**მ) პროგრამის დასახელება: მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება**

**პროგრამის კოდი: 06 02 10**

**პროგრამის დაფინანსება: 22,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა: ა) სოციალურად დაუცველ მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ამავე დროს რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. ბ) მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით. გ) დედ-მამით ობლებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**ნ) პროგრამის დასახელება: სტუდენტთა დახმარება**



**პროგრამის კოდი: 06 02 11**

**პროგრამის დაფინანსება: 16,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 1-დან -100000-ჩათვლით. დახმარების მოცულობა განისაზღვრება თითოეულ სტუდენტზე 500 ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**ო) პროგრამის დასახელება: ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება**

**პროგრამის კოდი: 06 02 12**

**პროგრამის დაფინანსება: 1,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**პ) პროგრამის დასახელება: უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა**

**პროგრამის კოდი: 06 02 13**

**პროგრამის დაფინანსება: 2,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას. ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში; ბ) მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, დიხაშხოს, ბზვანის, ამაღლების, ზეინდრის, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში; გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, მულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 60 (სამოცი) ლარი თვეში;

**მოსალოდნელი შედეგი:** პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.



**ჟ) პროგრამის დასახელება: სარიტუალო დახმარება**

**პროგრამის კოდი: 06 02 14**

**პროგრამის დაფინანსება: 15,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-100000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის ოჯახის დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ბ) ჩერნობილის ავარიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. გ) გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. დ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის ოჯახის დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

**მოსალოდნელი შედეგი:** აღნიშნულ კატეგორიას მიკუთვნებული ოჯახები დაკმაყოფილებულია სრულად.

**რ) პროგრამის დასახელება: სხვა სოციალური ღონისძიებები**

**პროგრამის კოდი: 06 02 15**

**პროგრამის დაფინანსება: 13,0 ათასი ლარი**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების დღის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცემა სასურსათო პაკეტი.

**მოსალოდნელი შედეგი:** დღის ცენტრის ბენეფიციართათვის გაუმჯობესებულია პირობები.

**მუხლი 18. ბიუჯეტის ასიგნებები**

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს 16740,3 ათასი ლარით, შემდეგი რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
	ვანის მუნიციპალიტეტი	13,338.0	6,406.5	6,931.5	15,572.2	7,964.9	7,607.3	16,740.3	8,978.4	7,761.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	169	7	162	169	7	162	164	7	157
	ხარჯები	6,347.5	372.1	5,975.4	7,491.4	869.7	6,621.7	7,364.7	366.4	6,998.3
	შრომის ანაზღაურება	1,726.0	56.5	1,669.5	1,867.3	63.1	1,804.2	1,857.5	70.0	1,787.5
	საქონელი და მომსახურება	871.3	130.6	740.7	1,192.5	494.4	698.1	1,085.6	217.2	868.4



	პროცენტი	52.5	0.0	52.5	27.8	0.0	27.8	36.0	0.0	36.0
	სუბსიდიები	2,771.4	65.0	2,706.4	3,266.0	64.9	3,201.1	3,535.5	65.0	3,470.5
	გრანტები	0.5	0.0	0.5	4.2	0.0	4.2	12.0	0.0	12.0
	სოციალური უზრუნველყოფა	614.1	0.0	614.1	764.5	0.0	764.5	698.0	0.0	698.0
	სხვა ხარჯები	311.7	120.0	191.7	369.1	247.3	121.8	140.1	14.2	125.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,987.4	6,034.4	953.0	8,053.0	7,095.2	957.8	9,319.6	8,612.0	707.6
	ვალდებულებების კლება	3.1	0.0	3.1	27.8	0.0	27.8	56.0	0.0	56.0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,513.3	79.5	2,433.8	2,654.0	92.4	2,561.6	2,773.9	80.0	2,693.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	169	7	162	169	7	162	164	7	157
	ხარჯები	2,486.3	79.5	2,406.8	2,563.3	77.9	2,485.4	2,714.8	80.0	2,634.8
	შრომის ანაზღაურება	1,726.0	56.5	1,669.5	1,867.3	63.1	1,804.2	1,857.5	70.0	1,787.5
	საქონელი და მომსახურება	604.0	23.0	581.0	567.4	14.8	552.6	700.4	10.0	690.4
	პროცენტი	52.5	0.0	52.5	27.8	0.0	27.8	36.0	0.0	36.0
	გრანტები	0.5	0.0	0.5	4.2	0.0	4.2	12.0	0.0	12.0
	სოციალური უზრუნველყოფა	24.2	0.0	24.2	15.9	0.0	15.9	21.0	0.0	21.0
	სხვა ხარჯები	79.1	0.0	79.1	80.7	0.0	80.7	87.9	0.0	87.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.9	0.0	23.9	62.9	14.5	48.4	3.1	0.0	3.1
	ვალდებულებების კლება	3.1	0.0	3.1	27.8	0.0	27.8	56.0	0.0	56.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	2,457.7	79.5	2,378.2	2,654.0	92.4	2,561.6	2,541.9	80.0	2,461.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	169	7	162	169	7	162	164	7	157
	ხარჯები	2,433.8	79.5	2,354.3	2,563.3	77.9	2,485.4	2,538.8	80.0	2,458.8
	შრომის ანაზღაურება	1,726.0	56.5	1,669.5	1,867.3	63.1	1,804.2	1,857.5	70.0	1,787.5
	საქონელი და მომსახურება	604.0	23.0	581.0	567.4	14.8	552.6	560.4	10.0	550.4
	პროცენტი	0.0	0.0	0.0	27.8	0.0	27.8	0.0	0.0	0.0
	გრანტები	0.5	0.0	0.5	4.2	0.0	4.2	12.0	0.0	12.0



	სოციალური უზრუნველყოფა	24.2	0.0	24.2	15.9	0.0	15.9	21.0	0.0	21.0
	სხვა ხარჯები	79.1	0.0	79.1	80.7	0.0	80.7	87.9	0.0	87.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.9	0.0	23.9	62.9	14.5	48.4	3.1	0.0	3.1
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	27.8	0.0	27.8	0.0	0.0	0.0
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	701.7	0.0	701.7	719.9	0.0	719.9	735.0	0.0	735.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33	0	33	33	0	33	33	0	33
	ხარჯები	699.5	0.0	699.5	716.7	0.0	716.7	734.9	0.0	734.9
	შრომის ანაზღაურება	489.4	0.0	489.4	505.2	0.0	505.2	515.0	0.0	515.0
	საქონელი და მომსახურება	123.7	0.0	123.7	129.6	0.0	129.6	132.0	0.0	132.0
	სოციალური უზრუნველყოფა	7.4	0.0	7.4	1.4	0.0	1.4	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	79.0	0.0	79.0	80.5	0.0	80.5	87.9	0.0	87.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.2	0.0	2.2	3.2	0.0	3.2	0.1	0.0	0.1
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1,673.0	0.0	1,673.0	1,838.4	14.5	1,823.9	1,708.5	0.0	1,708.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	129	0	129	129	0	129	124	0	124
	ხარჯები	1,652.5	0.0	1,652.5	1,750.9	0.0	1,750.9	1,705.5	0.0	1,705.5
	შრომის ანაზღაურება	1,178.6	0.0	1,178.6	1,299.0	0.0	1,299.0	1,272.0	0.0	1,272.0
	საქონელი და მომსახურება	456.5	0.0	456.5	405.2	0.0	405.2	400.5	0.0	400.5
	პროცენტი	0.0	0.0	0.0	27.8	0.0	27.8	0.0	0.0	0.0
	გრანტები	0.5	0.0	0.5	4.2	0.0	4.2	12.0	0.0	12.0
	სოციალური უზრუნველყოფა	16.8	0.0	16.8	14.5	0.0	14.5	21.0	0.0	21.0
	სხვა ხარჯები	0.1	0.0	0.1	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.5	0.0	20.5	59.7	14.5	45.2	3.0	0.0	3.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	27.8	0.0	27.8	0.0	0.0	0.0
01 01 03	მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	83.0	79.5	3.5	95.7	77.9	17.8	98.4	80.0	18.4



მომუშავეთა რიცხოვნობა	7	7	0	7	7	0	7	7	0
ხარჯები	81.8	79.5	2.3	95.7	77.9	17.8	98.4	80.0	18.4
შრომის ანაზღაურება	58.0	56.5	1.5	63.1	63.1	0.0	70.5	70.0	0.5
საქონელი და მომსახურება	23.8	23.0	0.8	32.6	14.8	17.8	27.9	10.0	17.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1.2	0.0	1.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები	55.6	0.0	55.6	0.0	0.0	0.0	232.0	0.0	232.0
ხარჯები	52.5	0.0	52.5	0.0	0.0	0.0	176.0	0.0	176.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	140.0	0.0	140.0
პროცენტი	52.5	0.0	52.5	0.0	0.0	0.0	36.0	0.0	36.0
ვალდებულებების კლება	3.1	0.0	3.1	0.0	0.0	0.0	56.0	0.0	56.0
01 02 01 სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	140.0	0.0	140.0
ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	140.0	0.0	140.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	140.0	0.0	140.0
01 02 03 ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	55.6	0.0	55.6	0.0	0.0	0.0	92.0	0.0	92.0
ხარჯები	52.5	0.0	52.5	0.0	0.0	0.0	36.0	0.0	36.0
პროცენტი	52.5	0.0	52.5	0.0	0.0	0.0	36.0	0.0	36.0
ვალდებულებების კლება	3.1	0.0	3.1	0.0	0.0	0.0	56.0	0.0	56.0
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება	6,883.8	5,917.2	966.6	7,401.9	6,592.8	809.1	7,401.8	6,692.8	709.0
ხარჯები	248.2	107.6	140.6	420.4	309.2	111.2	215.1	50.1	165.0
საქონელი და მომსახურება	243.6	107.6	136.0	358.2	247.6	110.6	202.1	45.1	157.0
სხვა ხარჯები	4.6	0.0	4.6	62.2	61.6	0.6	13.0	5.0	8.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,635.6	5,809.6	826.0	6,981.5	6,283.6	697.9	7,186.7	6,642.7	544.0
02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,320.1	5,521.8	798.3	6,373.7	5,745.7	628.0	6,372.2	6,002.2	370.0
ხარჯები	58.1	25.2	32.9	35.6	35.6	0.0	35.0	0.0	35.0
საქონელი და	58.1	25.2	32.9	35.6	35.6	0.0	35.0	0.0	35.0



	მომსახურება									
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,262.0	5,496.6	765.4	6,338.1	5,710.1	628.0	6,337.2	6,002.2	335.0
02 02	სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია	156.1	156.1	0.0	155.3	155.3	0.0	104.2	101.2	3.0
	ხარჯები	40.5	40.5	0.0	1.4	1.4	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	40.5	40.5	0.0	1.4	1.4	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	115.6	115.6	0.0	153.9	153.9	0.0	104.2	101.2	3.0
02 03	წყლის სისტემის განვითარება	2.5	0.0	2.5	1.2	0.0	1.2	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.3	0.0	2.3	1.2	0.0	1.2	0.0	0.0	0.0
02 04	გარე განათების უზრუნველყოფა	128.3	0.0	128.3	118.4	0.0	118.4	127.0	0.0	127.0
	ხარჯები	102.9	0.0	102.9	104.4	0.0	104.4	116.0	0.0	116.0
	საქონელი და მომსახურება	102.9	0.0	102.9	104.4	0.0	104.4	116.0	0.0	116.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	25.4	0.0	25.4	14.0	0.0	14.0	11.0	0.0	11.0
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	228.6	191.1	37.5	181.8	134.2	47.6	149.0	0.0	149.0
	ხარჯები	4.6	0.0	4.6	62.9	61.6	1.3	14.0	0.0	14.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.7	0.0	0.7	6.0	0.0	6.0
	სხვა ხარჯები	4.6	0.0	4.6	62.2	61.6	0.6	8.0	0.0	8.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	224.0	191.1	32.9	118.9	72.6	46.3	135.0	0.0	135.0
02 06	სოფლის განვითარების ხელშეწყობა	48.2	48.2	0.0	571.5	557.6	13.9	649.4	589.4	60.0
	ხარჯები	41.9	41.9	0.0	216.1	210.6	5.5	50.1	50.1	0.0
	საქონელი და მომსახურება	41.9	41.9	0.0	216.1	210.6	5.5	45.1	45.1	0.0
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	5.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.3	6.3	0.0	355.4	347.0	8.4	599.3	539.3	60.0



03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	534.0	0.0	534.0
	ხარჯები	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0
	სუბსიდიები	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	54.0	0.0	54.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0
	ხარჯები	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0
	სუბსიდიები	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0
03 02	დასუფთავების ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	54.0	0.0	54.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	54.0	0.0	54.0
04 00	განათლება	1,241.8	106.5	1,135.3	2,300.9	927.8	1,373.1	2,951.9	1,445.9	1,506.0
	ხარჯები	1,108.2	0.0	1,108.2	1,561.2	232.0	1,329.2	1,655.1	162.1	1,493.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	232.0	232.0	0.0	162.1	162.1	0.0
	სუბსიდიები	1,108.2	0.0	1,108.2	1,329.2	0.0	1,329.2	1,493.0	0.0	1,493.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	133.6	106.5	27.1	739.7	695.8	43.9	1,296.8	1,283.8	13.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,111.7	0.0	1,111.7	1,337.1	0.0	1,337.1	1,500.0	0.0	1,500.0
	ხარჯები	1,108.2	0.0	1,108.2	1,329.2	0.0	1,329.2	1,493.0	0.0	1,493.0
	სუბსიდიები	1,108.2	0.0	1,108.2	1,329.2	0.0	1,329.2	1,493.0	0.0	1,493.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.5	0.0	3.5	7.9	0.0	7.9	7.0	0.0	7.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	130.1	106.5	23.6	549.0	517.5	31.5	181.3	181.3	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	130.1	106.5	23.6	549.0	517.5	31.5	181.3	181.3	0.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	414.8	410.3	4.5	1,270.6	1,264.6	6.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	232.0	232.0	0.0	162.1	162.1	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	232.0	232.0	0.0	162.1	162.1	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	182.8	178.3	4.5	1,108.5	1,102.5	6.0





05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	1,301.4	0.0	1,301.4	1,603.0	21.4	1,581.6	2,258.2	666.2	1,592.0
	ხარჯები	1,232.5	0.0	1,232.5	1,451.0	0.0	1,451.0	1,498.5	0.0	1,498.5
	საქონელი და მომსახურება	23.7	0.0	23.7	34.9	0.0	34.9	21.0	0.0	21.0
	სუბსიდიები	1,194.0	0.0	1,194.0	1,405.7	0.0	1,405.7	1,474.5	0.0	1,474.5
	სხვა ხარჯები	14.8	0.0	14.8	10.4	0.0	10.4	3.0	0.0	3.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	68.9	0.0	68.9	152.0	21.4	130.6	759.7	666.2	93.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	551.1	0.0	551.1	659.7	21.4	638.3	1,324.2	666.2	658.0
	ხარჯები	492.8	0.0	492.8	561.9	0.0	561.9	582.5	0.0	582.5
	საქონელი და მომსახურება	2.6	0.0	2.6	15.8	0.0	15.8	7.0	0.0	7.0
	სუბსიდიები	478.4	0.0	478.4	540.2	0.0	540.2	572.5	0.0	572.5
	სხვა ხარჯები	11.8	0.0	11.8	5.9	0.0	5.9	3.0	0.0	3.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	58.3	0.0	58.3	97.8	21.4	76.4	741.7	666.2	75.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	14.4	0.0	14.4	21.7	0.0	21.7	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	14.4	0.0	14.4	21.7	0.0	21.7	10.0	0.0	10.0
	საქონელი და მომსახურება	2.6	0.0	2.6	15.8	0.0	15.8	7.0	0.0	7.0
	სხვა ხარჯები	11.8	0.0	11.8	5.9	0.0	5.9	3.0	0.0	3.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	355.9	0.0	355.9	248.8	0.0	248.8	210.0	0.0	210.0
	ხარჯები	353.3	0.0	353.3	246.7	0.0	246.7	209.0	0.0	209.0
	სუბსიდიები	353.3	0.0	353.3	246.7	0.0	246.7	209.0	0.0	209.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.6	0.0	2.6	2.1	0.0	2.1	1.0	0.0	1.0
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	148.3	0.0	148.3	210.0	0.0	210.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	148.3	0.0	148.3	204.6	0.0	204.6
	სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	148.3	0.0	148.3	204.6	0.0	204.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.4	0.0	5.4
05 01	რაგბის განვითარების	128.0	0.0	128.0	146.7	0.0	146.7	160.0	0.0	160.0



04	ხელშეწყობა									
	ხარჯები	125.1	0.0	125.1	145.2	0.0	145.2	158.9	0.0	158.9
	სუბსიდიები	125.1	0.0	125.1	145.2	0.0	145.2	158.9	0.0	158.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.9	0.0	2.9	1.5	0.0	1.5	1.1	0.0	1.1
05 01 05	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია	52.8	0.0	52.8	94.2	21.4	72.8	734.2	666.2	68.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	52.8	0.0	52.8	94.2	21.4	72.8	734.2	666.2	68.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	700.5	0.0	700.5	859.8	0.0	859.8	839.0	0.0	839.0
	ხარჯები	693.5	0.0	693.5	810.0	0.0	810.0	837.0	0.0	837.0
	სუბსიდიები	693.5	0.0	693.5	810.0	0.0	810.0	837.0	0.0	837.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.0	0.0	7.0	49.8	0.0	49.8	2.0	0.0	2.0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	327.1	0.0	327.1	378.8	0.0	378.8	405.0	0.0	405.0
	ხარჯები	324.1	0.0	324.1	378.8	0.0	378.8	405.0	0.0	405.0
	სუბსიდიები	324.1	0.0	324.1	378.8	0.0	378.8	405.0	0.0	405.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.0	0.0	3.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	323.4	0.0	323.4	345.0	0.0	345.0	339.0	0.0	339.0
	ხარჯები	319.4	0.0	319.4	336.2	0.0	336.2	337.0	0.0	337.0
	სუბსიდიები	319.4	0.0	319.4	336.2	0.0	336.2	337.0	0.0	337.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.0	0.0	4.0	8.8	0.0	8.8	2.0	0.0	2.0
05 02 03	კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	41.0	0.0	41.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	41.0	0.0	41.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0	0.0	50.0	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0
	ხარჯები	50.0	0.0	50.0	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0
	სუბსიდიები	50.0	0.0	50.0	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	24.1	0.0	24.1	23.6	0.0	23.6	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	24.1	0.0	24.1	23.6	0.0	23.6	14.0	0.0	14.0



	საქონელი და მომსახურება	21.1	0.0	21.1	19.1	0.0	19.1	14.0	0.0	14.0
	სხვა ხარჯები	3.0	0.0	3.0	4.5	0.0	4.5	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	16.0	0.0	16.0
05 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	25.7	0.0	25.7	59.9	0.0	59.9	65.0	0.0	65.0
	ხარჯები	22.1	0.0	22.1	55.5	0.0	55.5	65.0	0.0	65.0
	სუბსიდიები	22.1	0.0	22.1	55.5	0.0	55.5	65.0	0.0	65.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.6	0.0	3.6	4.4	0.0	4.4	0.0	0.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	995.0	303.3	691.7	1,157.7	330.5	827.2	820.5	93.5	727.0
	ხარჯები	869.6	185.0	684.6	1,040.8	250.6	790.2	801.2	74.2	727.0
	სუბსიდიები	66.5	65.0	1.5	76.4	64.9	11.5	88.0	65.0	23.0
	სოციალური უზრუნველყოფა	589.9	0.0	589.9	748.6	0.0	748.6	677.0	0.0	677.0
	სხვა ხარჯები	213.2	120.0	93.2	215.8	185.7	30.1	36.2	9.2	27.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	125.4	118.3	7.1	116.9	79.9	37.0	19.3	19.3	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	190.4	183.3	7.1	189.8	144.8	45.0	102.3	84.3	18.0
	ხარჯები	65.0	65.0	0.0	72.9	64.9	8.0	83.0	65.0	18.0
	სუბსიდიები	65.0	65.0	0.0	72.9	64.9	8.0	83.0	65.0	18.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	125.4	118.3	7.1	116.9	79.9	37.0	19.3	19.3	0.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	65.0	65.0	0.0	72.9	64.9	8.0	83.0	65.0	18.0
	ხარჯები	65.0	65.0	0.0	72.9	64.9	8.0	83.0	65.0	18.0
	სუბსიდიები	65.0	65.0	0.0	72.9	64.9	8.0	83.0	65.0	18.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	125.4	118.3	7.1	116.9	79.9	37.0	19.3	19.3	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	125.4	118.3	7.1	116.9	79.9	37.0	19.3	19.3	0.0
06 02	სოციალური დაცვა	804.6	120.0	684.6	967.9	185.7	782.2	718.2	9.2	709.0
	ხარჯები	804.6	120.0	684.6	967.9	185.7	782.2	718.2	9.2	709.0
	სუბსიდიები	1.5	0.0	1.5	3.5	0.0	3.5	5.0	0.0	5.0



	სოციალური უზრუნველყოფა	589.9	0.0	589.9	748.6	0.0	748.6	677.0	0.0	677.0
	სხვა ხარჯები	213.2	120.0	93.2	215.8	185.7	30.1	36.2	9.2	27.0
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	106.0	0.0	106.0	94.7	0.0	94.7	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	106.0	0.0	106.0	94.7	0.0	94.7	80.0	0.0	80.0
	სოციალური უზრუნველყოფა	106.0	0.0	106.0	94.7	0.0	94.7	80.0	0.0	80.0
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	21.5	0.0	21.5	23.1	0.0	23.1	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	21.5	0.0	21.5	23.1	0.0	23.1	25.0	0.0	25.0
	სოციალური უზრუნველყოფა	21.5	0.0	21.5	23.1	0.0	23.1	25.0	0.0	25.0
06 02 03	სამედიცინო დახმარება	244.1	0.0	244.1	300.3	0.0	300.3	310.0	0.0	310.0
	ხარჯები	244.1	0.0	244.1	300.3	0.0	300.3	310.0	0.0	310.0
	სოციალური უზრუნველყოფა	244.1	0.0	244.1	300.3	0.0	300.3	310.0	0.0	310.0
06 02 04	დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება	38.8	0.0	38.8	43.4	0.0	43.4	55.0	0.0	55.0
	ხარჯები	38.8	0.0	38.8	43.4	0.0	43.4	55.0	0.0	55.0
	სოციალური უზრუნველყოფა	38.8	0.0	38.8	43.4	0.0	43.4	55.0	0.0	55.0
06 02 05	შშმ პირთა დახმარება	71.9	0.0	71.9	75.6	0.0	75.6	77.0	0.0	77.0
	ხარჯები	71.9	0.0	71.9	75.6	0.0	75.6	77.0	0.0	77.0
	სოციალური უზრუნველყოფა	71.9	0.0	71.9	75.6	0.0	75.6	77.0	0.0	77.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	21.0	0.0	21.0	29.3	0.0	29.3	44.0	0.0	44.0
	ხარჯები	21.0	0.0	21.0	29.3	0.0	29.3	44.0	0.0	44.0
	სოციალური უზრუნველყოფა	21.0	0.0	21.0	29.3	0.0	29.3	44.0	0.0	44.0
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	154.8	120.0	34.8	208.8	185.7	23.1	36.2	9.2	27.0
	ხარჯები	154.8	120.0	34.8	208.8	185.7	23.1	36.2	9.2	27.0
	სოციალური უზრუნველყოფა	4.6	0.0	4.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	150.2	120.0	30.2	208.8	185.7	23.1	36.2	9.2	27.0



06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	5.0	0.0	5.0	7.0	0.0	7.0	8.0	0.0	8.0
	ხარჯები	5.0	0.0	5.0	7.0	0.0	7.0	8.0	0.0	8.0
	სოციალური უზრუნველყოფა	5.0	0.0	5.0	7.0	0.0	7.0	8.0	0.0	8.0
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	16.4	0.0	16.4	13.8	0.0	13.8	14.0	0.0	14.0
	ხარჯები	16.4	0.0	16.4	13.8	0.0	13.8	14.0	0.0	14.0
	სოციალური უზრუნველყოფა	16.4	0.0	16.4	13.8	0.0	13.8	14.0	0.0	14.0
06 02 10	მარჩენალგარდაცვილი პირთა დახმარება	20.0	0.0	20.0	22.8	0.0	22.8	22.0	0.0	22.0
	ხარჯები	20.0	0.0	20.0	22.8	0.0	22.8	22.0	0.0	22.0
	სოციალური უზრუნველყოფა	20.0	0.0	20.0	22.8	0.0	22.8	22.0	0.0	22.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	14.5	0.0	14.5	16.0	0.0	16.0	16.0	0.0	16.0
	ხარჯები	14.5	0.0	14.5	16.0	0.0	16.0	16.0	0.0	16.0
	სოციალური უზრუნველყოფა	2.0	0.0	2.0	9.0	0.0	9.0	16.0	0.0	16.0
	სხვა ხარჯები	12.5	0.0	12.5	7.0	0.0	7.0	0.0	0.0	0.0
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	2.0	0.0	2.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	2.0	0.0	2.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	2.0	0.0	2.0
06 02 14	სარიტუალო დახმარება	31.5	0.0	31.5	35.5	0.0	35.5	15.0	0.0	15.0
	ხარჯები	31.5	0.0	31.5	35.5	0.0	35.5	15.0	0.0	15.0
	სოციალური უზრუნველყოფა	31.5	0.0	31.5	35.5	0.0	35.5	15.0	0.0	15.0
06 02 15	სხვა სოციალური ღონისძიებები	59.1	0.0	59.1	97.5	0.0	97.5	13.0	0.0	13.0
	ხარჯები	59.1	0.0	59.1	97.5	0.0	97.5	13.0	0.0	13.0
	სუბსიდიები	1.5	0.0	1.5	3.5	0.0	3.5	5.0	0.0	5.0



სოციალური უზრუნველყოფა	7.1	0.0	7.1	94.0	0.0	94.0	8.0	0.0	8.0
სხვა ხარჯები	50.5	0.0	50.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

### მუხლი 19. ასიგნებების დაფინანსება

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

### მუხლი 20. ასიგნებების გადანაწილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

### მუხლი 21. კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2020 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

### მუხლი 22. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 23. დავალიანებების ანაზღაურება

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2020 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

### მუხლი 24.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 145,0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 65,0 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80,0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის



ურთიერთგადანაწილება.

## **მუხლი 25. სარეზერვო ფონდი**

2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 140.0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

